

შპს “კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია”

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ამონაგები.....	9
4. თვითღირებულება	9
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	10
6. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	10
7. სხვა ხარჯები.....	10
8. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი.....	11
9. მოგების გადასახადი.....	11
10. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები.....	11
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	12
12. გადახდილი ავანსები	12
13. ძირითადი საშუალებები.....	13
14. არამატერიალური აქტივები	14
15. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები.....	14
16. საგადასახადო ვალდებულებები	15
17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	15
18. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება.....	16
19. პირობითი ვალდებულებები	16
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	17

**შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების კონსოლიდირებული ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	განმარტებითი შენიშვნა	12/31/2018
ამონაგები	3	5,505,743
თვითღირებულება	4	(2,897,499)
საერთო მოგება		2,608,244
სხვა შემოსავლები		2,985
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	5	(2,577,978)
კომერციული დანახარჯები		(213,336)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	6	17,045
სხვა ხარჯები	7	(57,010)
საოპერაციო მოგება		(220,051)
ფინანსური შემოსავალი	8	1,505
ფინანსური ხარჯი	8	(18,667)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(17,162)
მოგება დაბეგვრამდე		(237,213)
მოგების გადასახადი	9	(27,858)
პერიოდის მოგება		(265,071)
სხვა სრული შემოსავალი:		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(265,071)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		1,030,118
დივიდენდები		(126,316)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		638,731

შენიშვნა: ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ფუნქციების მიხედვით (მომსახურების თვითღირებულება, კომერციული დანახარჯები, ადმინისტრაციული ხარჯები და სხვ.) ვინაიდან წლის განმავლობაში კომპანიის საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგებამ ან ზარალმა და დივიდენდის გაცემამ განაპირობა, საწარმომ გადაწყვიტა სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგების წარდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ცალ-ცალკე წარდგენის ნაცვლად.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	განმარტებითი შენიშვნა	12/31/2018	1/1/2018
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული	10	402,850	258,677
ინსტრუმენტები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11	559,361	965,561
გადახდილი ავანსები	12	23,763	32,014
		985,974	1,256,252
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	247,681	168,735
არამატერიალური აქტივები	14	105,497	69,839
		353,179	238,574
მთლიანი აქტივები		1,339,152	1,494,826
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15	350,192	49,169
მიღებული ავანსები		333,027	406,756
საგადასახადო ვალდებულებები	16	16,603	8,183
		699,821	464,108
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მთლიანი ვალდებულებები		699,821	464,108
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		600	600
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		638,731	1,030,118
		639,331	1,030,718
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		1,339,152	1,494,826

სააღრიცხვო პოლიტიკა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

„კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2014 წლის 10 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი. მისი ძირითადი საქმიანობაა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სრული მომსახურების გაწევა უძრავი ქონების მესაკუთრეებისთვის, მოიჯარეებისთვის, დეველოპერებისა და ინვესტორებისთვის. ჯგუფი შედგება შპს კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიასა და მის სრულ საკუთრებაში მყოფი შვილობილი საწარმოსგან შპს კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია - ველუეიშენ ენდ ედვაიზორი“-სგან, რომელიც ასევე ახორციელებს უძრავი ქონების შეფასებასა და მასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სამუშაო და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში.

კომპანია შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“ ფლობს 100% წილს შვილობილ საწარმოში, რომლის აქციები საჯაროდ არ იყიდება.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდის მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავლის მუხლში.

ამონაგების აღიარება.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება, მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასიცოცხლო პერიოდები:

- | | |
|---|---------|
| • სამზარეულოს ინვენტარი | 2 წელი |
| • კომპიუტერული ტექნიკა | 3 წელი |
| • საოფისე ტექნიკა | 3 წელი |
| • აიტი ინფრასტრუქტურა | 5 წელი |
| • მანქანა-დანადგარები | 5 წელი |
| • საოფისე ავეჯი და სხვა საინვენტარო ერთეული | 7 წელი |
| • მწვანე ნარგავები | 10 წელი |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, 15%-იანი წლიური განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე შანსი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. კომპანია ვალდებულებას აღიარებს მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები	2018 წელი ლარი
ქონების შეფასება და კონსალტინგი	2,637,648
საბროკერო მომსახურება	1,278,521
სამშენებლო მიმართულებით კონსულტაცია	735,232
დეველოპმენტ კონსალტინგი	481,551
ბაზრის კვლევა	171,910
ინვენტარიზაცია	8,096
გის მომსახურება	4,237
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	188,549
სულ ამონაგები	5,505,743

4. თვითღირებულება	2018 წელი ლარი
დარიცხული ხელფასი	(1,238,701)
დარიცხული ბონუსი	(611,241)
ინსპექტირების ხარჯები	(567,771)
საკონსულტაციო (ქვეკონტრაქტორების) ხარჯები	(443,628)
მივლინების ხარჯები	(36,158)
სულ მომსახურების თვითღირებულება	(2,897,499)

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2018 წელი ლარი
შრომის ანაზღაურება	(1,719,683)
საიჯარო ქირა	(244,715)
ლიცენზიისა და ბრენდის სახელის გამოყენების უფლების ხარჯი	(103,692)
სხვა საერთო ხარჯები	(99,528)
ცვეთა და ამორტიზაცია	(80,385)
იურიდიული და საბუღალტრო მომსახურება	(64,537)
კომუნალური გადასახადები	(60,695)
კადრების მოძიების და გადამზადების ხარჯები	(51,572)
კომუნიკაციის ხარჯები	(44,137)
IT მომსახურების და კომპიუტერის ხარჯები	(36,349)
საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობისა და კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები	(25,383)
სსიპ-ების მომსახურების ხარჯი	(19,248)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(16,034)
პროფესიული დაზღვევა	(9,920)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(2,102)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	(2,577,978)

6. სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა

სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა, წარმომადგენს საკურსო სხვაობით მიღებული მოგებისა და ზარალის სხვაობას.

7. სხვა ხარჯები	2018 წელი ლარი
დებიტორული დავალიანების ჩამოწერა	(38,656)
დარიცხული ჯარიმა	(8,877)
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	(7,217)
საქველმოქმედო ფონდისთვის გადარიცხული თანხა	(2,260)
სულ სხვა ხარჯები	(57,010)

8. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	2018 წელი ლარი
ანაბარზე დარიცხული პროცენტი	1,505
სულ ფინანსური შემოსავალი	1,505
საკრედიტო ხაზზე დარიცხული პროცენტი	(258)
გარანტიებზე დარიცხული პროცენტი	(18,409)
სულ ფინანსური ხარჯი	(18,667)
სულ ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	(17,162)

9. მოგების გადასახადი	2018 წელი ლარი
განაწილებულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადი	(22,291)
ჩამოწერილ დებიტორებზე გადახდილი მოგების გადასახადი	(5,567)
სულ მოგების გადასახადი	(27,858)

10. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	267	168,776
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6	31,181
შემნახველი ანგარიშები	395,867	54,436
ფული სხვა საბანკო ანგარიშებზე	2,711	1,498
ბიზნეს-ბარათების ანგარიშები რეზიდენტ ბანკში	3,998	2,786
სულ ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	402,850	258,677

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	559,361	965,013
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	548
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	559,361	965,561

2018 წელს ჯგუფმა ჩამოწერა უიმედო სავაჭრო მოთხოვნები 35,486 ლარის ოდენობით.

12. გადახდილი ავანსები

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	20,343	30,486
ავანსად გადახდილი საგარანტიო თანხები	1,500	-
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	1,920	1,528
სულ გადახდილი ავანსები	23,763	32,014

13. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	სამზა რეულოს ინვენტარი	ავიჯი და სხვა ინვენტარი	კომპ. ტექნიკა	ბანერი	აიტი ინფრასტრ უქტურა	მწვანე ნარგავე ბი	სულ
31 დეკემბერი								
2017	15,712	2,471	112,892	97,735	1,198	18,953	327	249,288
შემოსვლა	942	808	64,097	80,611	-	11,986	998	159,444
გასვლა	-	(76)	(7,957)	(14,531)	-	(720)	-	(23,285)
31 დეკემბერი								
2018	16,654	3,203	169,032	163,815	1,198	30,219	1,325	385,448

ცვეთა და გაუფასურება

31 დეკემბერი								
2017	(2,901)	(1,595)	(40,025)	(33,260)	(1,198)	(1,575)	-	(80,553)
პერიოდის								
ცვეთა	(3,758)	(762)	(15,276)	(43,589)	-	(4,239)	(25)	(67,649)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	52	3,464	6,825	-	95	-	10,435
31 დეკემბერი								
2018	(6,658)	(2,305)	(51,838)	(70,024)	(1,198)	(5,719)	(25)	(137,766)

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი								
2017	12,811	877	72,867	64,475	-	17,378	327	168,735
31 დეკემბერი								
2018	9,996	899	117,195	93,791	-	24,501	1,300	247,681

2018 წელს მოხდა ექსპლუატაციიდან გამოსული აქტივების ჩამოწერა 7,217 ლარის ოდენობით.

14. არამატერიალური აქტივები

	ვებსაიტი	პროგრამული უზრუნველყოფა _ოდო	პროგრამული უზრუნველყოფა _ბოქსვუდი	სულ
31 დეკემბერი 2017	43,862	32,092	-	75,954
შემოსვლა	-	28,395	20,000	48,395
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	43,862	60,487	20,000	124,349

ცვეთა და გაუფასურება

31 დეკემბერი 2017	(4,695)	(1,420)	-	(6,115)
წლიური ამორტიზაცია (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)	(5,488)	(6,752)	(497)	(12,736)
31 დეკემბერი 2018	(10,182)	(8,172)	(497)	(18,852)

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2017	39,167	30,672	-	69,839
31 დეკემბერი 2018	33,680	52,314	19,503	105,497

15. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	254,392	49,443
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	95,799	(274)
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	350,192	49,169

16. საგადასახადო ვალდებულებები	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
დღგ	11,599	81,676
მოგების გადასახადი	9,090	30,849
საშემოსავლო გადასახადი	(6,138)	(106,131)
ქონების გადასახადი	2,052	1,788
სულ საგადასახადო ვალდებულებები	16,603	8,183

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“-სა და მის შვილობილ კომპანია შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია - ველუეიშენ ენდ ედვაიზორი“-ს შორის შესრულებული ოპერაციები, რომელიც დაკავშირებული მხარეა, ელიმინირებულია კონსოლიდაციის დროს.

შვილობილ კომპანიასთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ლიცენზიის გაცემიდან მიღებული სხვა შემოსავალი:	2018 წელი ლარი
შვილობილ კომპანიაზე გაცემული ლიცენზიიდან მიღებული შემოსავალი:	25,841
სულ	25,841

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი:	2018 წელი ლარი
შვილობილ კომპანიაზე გაცემული სესხიდან მიღებული პროცენტი	631
შვილობილ კომპანიისგან აღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	(8,346)
სულ ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	(7,714)

საკონსულტაციო ხარჯი:	2018 წელი ლარი
შვილობილ კომპანიაზე გაცემული საკონსულტაციო ხარჯი:	(29,906)
სულ	(29,906)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების ნაშთები:

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
მოთხოვნები დაკავშირებული მხარისადმი	21,559	24,659
დაკავშირებული მხარისადმი გადახდილი ავანსები	-	35,289
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	-	94,421
მისაღები პროცენტები დაკავშირებული მხარისთვის გაცემული სესხიდან	-	1,955
	21,559	156,325
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხი	254,400	-
დაკავშირებული მხარისადმი გადასახდელი პროცენტი	6,664	-
	261,064	-

18. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2018 წელი ლარი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	1,462,902
სულ	1,462,902

19. პირობითი ვალდებულებები


2016 წელს შპს „კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯია“-მ აღძრა სარჩელი შპს „გალერეა თბილისის“ (ყოფილი „თბილისი პლაზა“) წინააღმდეგ ხელშეკრულების შეწყვეტისთვის და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმის ანაზღაურება 468294,18 დოლარის ექვივალენტის ოდენობით. რის შემდეგაც მოპასუხე შპს „გალერეა თბილისმა“ შეგებებული სარჩელი აღძრა კოლიერსის წინააღმდეგ სადაც ითხოვდა ავანსად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას 165000 დოლარის ექვივალენტის ოდენობით. პირველი ინსტანცია დასრულდა შპს „გალერეა თბილისის“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებით და კოლიერსის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით. ამჟამად საქმე გადაცემულია სააპელაციო სასამართლოში.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული არ არის ანარიცხი, რადგან ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი არ არის ზარალის წარმოქმნა.

29. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2019 წლის 23 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ირაკლი კილაურიძე